

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში ომარ ოგბაიძის სახით და

მეორეს მხრივ, შპს „ჯი-თი მოტორს“ (შემდეგ - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, დანართი №1-ით გათვალისწინებული შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ან/და მიმდინარე ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 50112200; შემდგომში - „მომსახურება“) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. მომსახურება განხორციელდება დანართი №1-ით (შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტომანქანების ჩამონათვალი) გათვალისწინებულ ავტომანქანებზე, წინამდებარე ხელშეკრულებით, დანართი №2-ით (პრეისკურანტი) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, მხარეთა მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული შესაბამისი დეფექტური აქტის ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების, შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა, მოცულობა და შესრულების ვადები.

2.2. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის სერვისცენტრი მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დაღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; მიმწოდებელთან წინასწარ შეთანხმების შემთხვევაში მომსახურება შესაძლებელია გაწეული იქნეს ასევე ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის №21-ში;

2.3. გაწეულ მომსახურებაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ მომსახურების დეტალური აღწერა, გასაწევი მომსახურების, გამოყენებული სათადარიგო ნაწილების რაოდენობა და/ან მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (ან ერთვოდეს დეფექტური აქტი). მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს მიმწოდებლის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 5 სამუშაო დღეზე მეტი დაგვიანებით ან/და უხარისხო მომსახურების მიღებაზე, ან/და შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული იმ მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

3.1.1. გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

3.1.2. შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად;

3.1.3. უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების შესრულება ხელშეკრულებასა და დეფექტურ აქტში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, არაუგვიანეს დეფექტური აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში შესაბამისი სათადარიგო ნაწილის არ ქონის, ან ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება, მომსახურება დასრულებული უნდა იქნას მხარეთა მიერ შეთანხმებულ, გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმთვიან) კალენდარული დღისა).

3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

3.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულება შეადგენს 20 000.00 (ოცი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე, რომელიც დანართი №2-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. დანართი №2-ში მითითებული ფასები შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს, დღგ-ს ჩათვლით.

4.3. თუ გასაწევი მომსახურების ან რომელიმე სათადარიგო ნაწილის ფასი (მისი შესყიდვის აუცილებლობისას) არ არის გათვალისწინებული დანართი №2-ში (პრეისკურანტი), მაშინ მხარეები, მომსახურების დაწყებამდე, ურთიერთშეთანხმებულ ადნიშნული მომსახურების გაწევის შესაძლებლობას და ფასს მიმწოდებლის სერვისში იმ დროისათვის არსებული ფასების ან/და სათადარიგო ნაწილის ფასს შესაბამისი დეტალის მწარმოებელი კომპანიის ბაზარზე არსებული საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტომატურად განისაზღვრება მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს 470 138.43 (ოთხას სამოცდაათი ათას ას ოცდათვრამეტი ლარი და 43 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.4. მომსახურების დასრულებისთანავე მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მხარეთა მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირები.

4.5. ანგარიშსწორების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტებია:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი (ორმხრივად ხელმოწერილი).

4.6. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების 4.5. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

4.7. შემსყიდველის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის და მისი მიღების, ასევე ანგარიშსწორების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქმნება.

5. ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელებისას დანართი №2-ით გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილის გამოყენების შემთხვევაში, სათადარიგო ნაწილი უნდა იყოს ახალი/არ უნდა იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში.

5.2. მიმწოდებლის გარანტია შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ან/და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ნორმალური ექსპლუატაციის შემთხვევაში. გარანტია არ ვრცელდება სწრაფად ცვლად ავტონაწილებზე (ნათურები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები და სხვა სწრაფცვლადი დეტალები (სამუხრუჭე ხუნდები უნდა იყოს ახალი, ქარხნული ან მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული).

5.3. თუ საგარანტო პერიოდში აღმოჩნდება ქარხნული დეფექტები, რომლებიც გამოიწვევენ ავტომატური ნაწილის უსაფრთხო ექსპლუატაციას, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა) საკუთარი ხარჯით გამოასწოროს დეფექტი. განსაკუთრებული დაზიანების შემთხვევაში ან სათადარიგო ნაწილის ადგილზე არქონის შემთხვევაში, დეფექტის გამოსწორების ვადა დამატებით თანხმდება მხარეთა შორის (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს).

5.4. მე-5 მუხლში აღნიშნული გარანტია არ ვრცელდება შემსყიდველის მიერ ავტომატური ნაწილის შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე და იმ შემთხვევაში, თუ საგარანტო პერიოდში რაიმე სერვისი/მომსახურება მიღებულია მიმწოდებლის სერვისის გვერდის ავლით;

5.5. მომსახურების გაწევის დროს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ავტომატური ნაწილისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს (გარდა ფორს-მაჟორული მიზეზებით გამოწვეული ზიანებისა და მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა, რაც დარეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით).

5.6. მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ტექნიკურად გამართული ავტომატური ნაწილი (იგულისხმება იმ მომსახურების მიწოდება რასაც ითვალისწინებს დანართი №2).

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების არაჯეროვნად შესრულების და/ან ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ

ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ვადაგადაცილებული ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.3. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

6.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მისი ბრალეულობით ცალმხრივად შეწყვეტის/მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო იმ მომენტისათვის დარჩენილი ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

6.6. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

6.7. მიმწოდებლის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

6.8. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანაზღაურებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის მიერ წარმოდგენილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს გაწეული მომსახურების კონტროლი.

8.2. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

8.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;

8.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა გაწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად გაწეული მომსახურების მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.

8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

8.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი მხოლოდ მიმწოდებლის სერვისში შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.2. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველისთვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

10.3. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე თუ:

ა) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები.

10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მიმწოდებლისათვის არანაკლებ 2 (ორი) კვირით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე

11. სხვა პირობები

11.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკებების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე;

11.3. ხელშეკრულებაში დამატებების/დანართების/ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები:

<p>„შემსყიდველი“ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“</p> <p>მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 224-40-40 / 224-40-41 ს/კ: 206237491 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001</p> <p>დირექტორი ფინანსურ საკითხებში</p>	<p>„მიმწოდებელი“ შპს „ჯი-თი მოტორს“</p> <p>მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №155 ტელ: 259-50-00, 595 900935 ს/კ: 206276340 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ: BAGAGE22 ა/ა GE89BG0000000247624300</p> <p>დირექტორი</p> <p style="text-align: right;">თ. უსტიაშვილი</p>
--	---



Handwritten signatures and initials at the bottom of the page.

დანართი №1 - შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტომანქანების ჩამონათვალი

	მარკა	გ/წელი	სახ. N	ძრავის მოცულობა	საწვავის ტიპი	საიდენტიფიკაციო N
1	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-312-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC67372
2	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-314-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC67397
3	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-315-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC66912
4	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-095-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC66931
5	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-096-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC66451
6	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-103-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC66460
7	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-104-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC66908
8	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-105-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC66419
9	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-108-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC67943
10	ფორდი რეინჯერი	2019	ZZ-299-CC	2200	დიზელი	6FPPXXMJ2PKC67423

დანართი №2 - პრეისკურანტი

№	ძირითადი დეტალებისა და მომსახურების დასახელება	განზომილებების ერთეული	ფასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით	ერთეულზე მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	ჰაერის ფილტრი (100 000-ზე მეტი გარბენის (კმ) გადაცდენის შემთხვევაში,)	ცალი	217	10
2	სალონის ჰაერის ფილტრი (100 000-ზე მეტი გარბენის (კმ) გადაცდენის შემთხვევაში,)	ცალი	100	15
3	საწვავის ფილტრი (100 000-ზე მეტი გარბენის (კმ) გადაცდენის შემთხვევაში,)	ცალი	159	15
4	სამუხრუჭე ხუნდი წინა (100 000-ზე მეტი გარბენის (კმ) გადაცდენის შემთხვევაში,)	კომპლ	447	28
5	სამუხრუჭე ხუნდი უკანა (100 000-ზე მეტი გარბენის (კმ) გადაცდენის შემთხვევაში,)	კომპლ	370	40
	სავალი ნაწილი			
6	სამუხრუჭე დისკი უკანა (ბარაბანი)	ცალი	1371	40
7	ამორტიზატორი წინა	ცალი	585	105
8	ამორტიზატორი უკანა	ცალი	585	60
9	წინა ამორტიზატორის საყრდენი ბალიში	ცალი	323	105
10	ამორტიზატორის ბუფერი წინა	ცალი	194	105
11	ამორტიზატორის ბალიშის საკისარი	ცალი	219	105
12	წინა სტაბილიზატორის მილისა	ცალი	137	37.5
13	ბერკეტი (გიტარა) ზედა მჯ	ცალი	358	82.5
14	ბერკეტი (გიტარა) ზედა მც	ცალი	358	82.5
15	ბერკეტი (გიტარა) ქვედა მც	ცალი	974	82.5
16	ბერკეტი (გიტარა) ქვედა მჯ	ცალი	358	82.5
17	გიტარის მილისა ქვედა წინა	ცალი	125	52.5
18	გიტარის მილისა ქვედა უკანა	ცალი	294	52.5
19	გიტარის მილისა ზედა წინა	ცალი	116	52.5
20	გიტარის მილისა ზედა უკანა	ცალი	116	52.5
21	ტრავერსის ვტულკა	ცალი	275	75
22	წინა სტაბილიზატორი (სუზოი)	ცალი	1092	67.5
23	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი	ცალი	133	10
24	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი მც	ცალი	246	10
25	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი მჯ	ცალი	246	10
26	წინა სტაბილიზატორის სამაგრი	ცალი	133	10
27	საჭის წევა	ცალი	360	285
28	საჭის წევის მტვერდამცავი	ცალი	372	52.5
29	საჭის წევის დაბოლოება მჯ	ცალი	363	52.5
30	საჭის წევის დაბოლოება მც	ცალი	365	52.5
31	მორგვის საკისარი წინა	ცალი	616	105
32	წინა ზამბარის ჩაშვა	ცალი	219	60
33	ზამბარა წინა	ცალი	1056	105
34	ყუმბარა კ-ტი მჯ	ცალი	2549	82.5
35	ყუმბარა კ-ტი მც	ცალი	2533	82.5
36	სტერჟენი წინა	ცალი	246	22.5
37	ამორტიზატორის რეზინების კომპლექტი წინა	კომპლ	57.5	75
38	ამორტიზატორის რეზინების კომპლექტი უკანა	კომპლ	57.5	75

39	წინა ამორტიზატორის ლიმონჩიკი	ცალი	88	105
40	მორგვი წინა	ცალი	1226	52.5
41	უკანა რესორი	ცალი	2100	225
42	უკანა რესორის რეზინები წინა	ცალი	145.2	75
43	უკანა რესორის რეზინები უკანა ქვედა	ცალი	85	75
44	უკანა რესორის რეზინები უკანა ზედა	ცალი	85	75
45	წერო (ცაპკა) მჯ	ცალი	1267	52.5
46	წერო (ცაპკა) მც	ცალი	2482	52.5
	სამუხრუჭე სისტემა			
47	სამუხრუჭე დისკი წინა	ცალი	509	90
48	მუხრუჭის მილი(წინა) მჯ	ცალი	302	35
49	მუხრუჭის მილი(წინა) მც	ცალი	311	35
50	მუხრუჭის მილი(უკანა)	ცალი	222	35
51	სამუხრუჭე დისკის მოხეხვა	ცალი	-	47.5
52	სამუხრუჭე სისტემის დაჰაერება		-	75
53	წინა სუპორტი მც	ცალი	1346	35
54	წინა სუპორტი მჯ	ცალი	1346	35
55	უკანა სუპორტი	ცალი	405	50
56	მთავარი სამუხრუჭე ავზი (ცილინდრი)	ცალი	543	82.5
57	აბს-ის ბლოკი	ცალი	4712	67.5
58	აბს-ის კომპიუტერული ადაპტაცია	ცალი	-	150
59	აბს-ის დატრიკი წინა მჯ	ცალი	311	20
60	აბს-ის დატრიკი წინა მც	ცალი	311	20
61	აბს-ის დატრიკი უკანა მც	ცალი	311	20
62	აბს-ის დატრიკი უკანა მჯ	ცალი	311	20
63	მუხრუჭის ლიაგუმკა	ცალი	43	22.5
64	სამუხრუჭე ვაკუუმი	ცალი	1114	112.5
65	ვაკუუმის მილი	ცალი	187	15
66	ვაკუუმის ტუმბოს შუასადები	ცალი	147	150
67	ხელის მუხრუჭის გვარლი წინა ნაწილი	ცალი	578.85	75
68	ხელის მუხრუჭის რეგულირება	კომპლ	-	25
69	ხელის მუხრუჭის ტროსი მჯ	კომპლ	106	112.5
70	ხელის მუხრუჭის ტროსი მც	კომპლ	106	112.5
	კვების სისტემა			
71	მაყური წინა	ცალი	1224	150
72	მაყური ბოლო	ცალი	1217	150
73	მაყურის რეზინი	ცალი	29	15
74	მაყურის სადები	ცალი	137	15
75	კოლექტორის მოხსნა-დაყენება	ცალი	-	225
76	კოლექტორის საფენი	ცალი	96	225
77	საქშენის მილი	ცალი	582	35
78	დროსელი	ცალი	2615	40
79	დროსელის გაწმენდა	ცალი	-	75
80	რეცერკულაციის კლაპანი (ეგერი)	ცალი	1104	300
81	რეცერკულაციის კლაპანის (ეგერი) გაწმენდა	ცალი	-	75
82	საწვავის სისტემის აღდგენა რეგულირება	ცალი	-	150
83	ეგერის რადიატორი	ცალი	1350	150
84	მფრქვევანა (ფარსუნკა)	კომპლ	1080	52.5
85	მფრქვევანას სალნიკი	ცალი	27	150
86	ფარსუნკის შაიბა	ცალი	27	52.5

87	მაღალი წნევის ტუმბო	ცალი	4870	312.5
88	საწვავის ფილტრის კორპუსი	ცალი	642	22.5
89	კოლექტორი გამშვები	ცალი	1750	225
90	კოლექტორი შემშვები	ცალი	854	105
91	ტურბო	ცალი	5034	225
92	ტურბოს მილი	ცალი	124	30
93	ტურბოს რადიატორი	ცალი	2506	52.5
94	ტურბოს შუასადები მილზე	ცალი	45.22	150
95	გაზის პედალი	ცალი	639	75
96	მაღალი წნევის მარეგულირებელი რეგულატორი	ცალი	867	150
	გაგრილების სისტემა			
97	წყლის ტუმბო (პომპა)	ცალი	701	675
98	წყლის რადიატორი	ცალი	1628	75
99	წყლის გამაფართოვებელი ავზი	ცალი	342	15
100	წყლის ავზის ხუფი	ცალი	33	7.5
101	წყლის მილი	ცალი	335	35
102	თერმოსტატი	ცალი	156	75
103	თერმოსტატის ბუდე	ცალი	261	75
104	წყლის გამაგრილებელი ვენტილიატორი	ცალი	1337	52.5
105	წყლის ტემპერატურის გადამწოდი (დაჩიკი)	ცალი	108	15
106	გიდრო მუფტა (კომპლ)	კომპლ	1544	22.5
	საჭის მექანიზმი, ჰიდრაულიკა			
107	საჭის მექანიზმი	ცალი	10074	270
108	საჭის ჰიდროგამაძლიერებელის მაღალი წნევის მილი	ცალი	1131	225
109	საჭის ტუმბო	ცალი	2721	225
110	საჭის კორექციის სენსორი	ცალი	497	35
111	საჭის შლეიფი	ცალი	497	60
112	ჰიდრაულიკის ავზის ჩოხალი	ცალი	102	75
113	ჰიდრაულიკის მილი	ცალი	1247	150
114	საჭის ღერძი	ცალი	3852	300
	ელექტრობა			
115	ელექტროსისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკა	სისტე	-	75
116	ჰაერმზომი	ცალი	1488	60
117	გამანაწილებელი ლილვის (რასპრედვალის) დაჩიკი	ცალი	275	60
118	მუხლა ლილვის (კალენვალის) დაჩიკი	ცალი	218	210
119	ანთების გამათბობელი	ცალი	86	97.5
120	ამბრავი (სტარტერი)	ცალი	2650	135
121	გენერატორი	ცალი	2001	142.5
122	გენერატორის ღვედის დამჭიმი კომპლექტში	კომპლ	486	52.5
123	გენერატორის ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი	ცალი	1245	52.5
124	გენერატორის ღვედის ამყოლი გორგოლაჭი	ცალი	173	52.5
125	გენერატორის ღვედის ამყოლი გორგოლაჭი	ცალი	222	52.5
126	გენერატორის ღვედი	ცალი	238	37.5
127	ფარების გადამრთველი	ცალი	245	15
128	ფარების ჩამრთველის ელექტრობის აღდგენა	ცალი	-	300
129	უკანა მაშუქის "გაზარტის" ელექტრო შეკეთება	ცალი	-	150
130	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი) 1 H15	ცალი	90	15
131	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი) 2 HIR2	ცალი	80	15

132	"გაზარიტის" ნათურა	ცალი	4.7	10
133	ნისლის მაშუქის ნათურა H11	ცალი	70	15
134	ნისლის მაშუქი ფარი	ცალი	474	15
135	უკანა მაშუქის ნათურა	ცალი	20.5	15
136	მოხვევის მაჩვენებლის ნათურა	ცალი	14	10
137	სანომრეს ნათურა	ცალი	4.7	10
138	საწვავის გამათბობლის რელე	ცალი	228	35
139	ზეთის წნევის სენსორი	ცალი	99	37.5
140	იმობილიზაციის ადდგენა-ინიციალიზაცია	ცალი	175	150
141	ანთების (საჭის) გასაღები	ცალი	998	150
142	გასაღების (ზამოკის) კონტაქტები	ცალი	117	150
143	საწვავის ტუმბო ავზში	ცალი	2981	150
144	დამცველების ბლოკი	ცალი	1349	90
145	მინის მწმენდის ძრავი	ცალი	1400	82.5
146	ძრავის მართვის ბლოკი	ცალი	3650	1 საათი-75
147	ელ. გაყვანილობის შეკეთება მარტივი	ცალი	-	150
148	ელ. გაყვანილობის შეკეთება საშუალო	ცალი	-	225
149	ელ. გაყვანილობის შეკეთება რთული	ცალი	-	300
150	საწვავის ავზის დაჩივი	ცალი	504	217.5
151	პულტის ელემენტი	ცალი	41	10
152	პულტი	ცალი	511	75
153	პულტის პროგრამირება	ცალი	-	150
154	საყვირი (სიგნალი) წყვილი	წყვილი	248	35
155	წყლის ამოსასხმელი ტუმბო	ცალი	398	15
156	წყლის ამოსასხმელი დაჩივი	ცალი	162	15
157	მინუსის კლემა	ცალი	144	15
158	პლიუსის კლემა	ცალი	417	35
159	კომპიუტერული ადაპტაცია	ცალი	-	150
160	კლიმატ-კონტროლის ბლოკი	ცალი	2799	225
161	მაჩვენებლების დაფა	ცალი	4406	60
	ძრავი			
162	ძრავი (კომპლექტში)	ცალი	43940	825
163	ძრავის სანიშნულზე გასწორება	ცალი	-	735
164	ძრავის წინა ხუფი 1	ცალი	690	735
165	ძრავის ამოღება/ჩადგმა	ცალი	-	825
166	ძრავის ჯაჭვი	ცალი	540	735
167	ჯაჭვის დამამუშავებელი	ცალი	68	735
168	ძრავის ჯაჭვის დამჭიმი მექანიზმი	ცალი	279	735
169	ძრავის თავაკის (გალოვკის) საფენი	ცალი	189	172.5
170	ძრავის თავაკის (გალოვკის) სახურავის საფენი	ცალი	115	172.5
171	ძრავის ჩობალი წინა	ცალი	89	127.5
172	ძრავის ჩობალი უკანა	ცალი	560	502.5
173	ძრავის სარქველის ჩობალი	ცალი	45	415
174	ძრავის სარქველი შეშვები (ერთი ცალი)	ცალი	75	540
175	ძრავის სარქველი გამშვები (ერთი ცალი)	ცალი	225	540
176	ზეთის ტუმბო	ცალი	602	165
177	მქნევარა(მახავიკი)	ცალი	1569	502.5
178	ძრავის ზედა სახურავი	ცალი	370	127.5
179	ძრავის თავაკი (გალოვკა)	ცალი	10537	735
180	ძრავის ბლოკი	ცალი	20121	1,124.00

181	გამანაწილებელი ლილვი (რასპრედვალი)	ცალი	1296	105
182	რასპრედვალის დაჩივი	ცალი	275	35
183	ძრავევემა საფარი (კარტერი)	ცალი	2341	150
184	ძრავის კარტერის შუასადები	ცალი	351	225
185	ძრვის კოლექტორი შემშვები	ცალი	854	130
186	ძრვის კოლექტორი გამშვები	ცალი	1227	225
187	ძრავის პლასტმასის ტრუბკა(ბაკის ვენტილაციის კლაპანი)	ცალი	582	90
188	ძრავის ზეთის რადიატორი	ცალი	1266	60
189	ძრავის ზეთის რადიატორის მილი	ცალი	51	60
190	ძრავის საყრდენი ზედა ბალიში	ცალი	1928	82.5
191	ძრავის საყრდენი ქვედა ბალიში	ცალი	855	37.5
192	ძრავის საყრდენი უკანა ბალიში	ცალი	1045	52.5
	გადაცემათა კოლოფი			
193	გადაცემის კოლოფის ზეთი (მექანიკა) (1ლ)	ლიტრ	54	75
194	გადაცემათა მექანიკური კოლოფი (კომპლექტი)	კომპლ	17796	375
195	გადაცემათა კოლოფის მოხსნა დაყენება	ცალი	-	375
196	გადაცემათა კოლოფის დაშლა-აწყობა (სრული)	ცალი	-	600
197	1-ლი სიჩქარის კბილანა	ცალი	1425	600
198	1-ლი სიჩქარის ქურო (მუფტა)	ცალი	2750	600
199	მე-2 სიჩქარის კბილანა	ცალი	1605	600
200	მე-2 სიჩქარის ქურო (მუფტა)	ცალი	2521	600
201	მე-3 სიჩქარის კბილანა	ცალი	1960	600
202	მე-3 სიჩქარის ქურო (მუფტა)	ცალი	2750	600
203	მე-4 სიჩქარის კბილანა	ცალი	2450	600
204	მე-4 სიჩქარის ქურო (მუფტა)	ცალი	2940	600
205	მე-5 სიჩქარის კბილანა	ცალი	750	600
206	მე-5 სიჩქარის ქურო (მუფტა)	ცალი	2450	600
207	მე-6 სიჩქარის კბილანა	ცალი	1980	600
208	მე-6 სიჩქარის ქურო (მუფტა)	ცალი	2347	600
209	გადაცემათა კოლოფის სინქრონიზატორი	ცალი	1403	450
210	გადაცემათა კოლოფის უკანა კოჟუხი	ცალი	2446	450
211	გადაცემათა კოლოფის წინა კოჟუხი	ცალი	4838	450
212	გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში	ცალი	1045	82.5
213	ძრავის ჯაჭვის მიმმართველი	ცალი	107.5	420
214	გადაბმულობის ქურო დისკის კ-ტი	ცალი	1540	375
215	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	ცალი	365	375
216	ჩანგალი (ვილკა)	ცალი	673	375
217	უკუსვლის კბილანა	ცალი	1428	-
218	გადაცემათა კოლოფის ბერკეტის (რიჩაგის) ჩობალი	ცალი	109	-
219	პირველადი ლილვი	ცალი	3680	-
220	პირველადი ლილვის საკისარი	ცალი	158	-
221	პირველადი ლილვის გამანაწილებელი (ტრანინკი)	ცალი	1037.36	-
222	მეორადი ლილვი	ცალი	2202	-
223	მეორადი ლილვის საკისარი	ცალი	165	-
224	მეორადი ლილვის გამანაწილებელი (ტრანინკი)	ცალი	1860	-
225	გადაცემათა კოლოფის კულისა	ცალი	631	130
226	ცეპლენიის მთავარი ავზი	ცალი	543	135

227	ცეპლენის ქვედა ავზი	ცალი	376	375
228	სიჩქარეთა გადამრთველი გვარლი	ცალი	1430	450
229	გადაცემათა კოლოფის ჩოხალი	ცალი	145	450
230	გადაცემათა კოლოფის კულისას ჩოხალი	ცალი	109	450
	წამყვანი ხიდი, რედუქტორი			
231	წინა წამყვანი ხიდის რედუქტორი	ცალი	12110	375
232	გამანაწილებელი კოლოფი	ცალი	12095	375
233	უკანა წამყვანი ხიდის რედუქტორი	ცალი	16175	375
234	წამყვანი ხიდი უკანა	ცალი	19250	450
235	რედუქტორის ჩოხალი	ცალი	210	97.5
236	კარდანი უკანა	ცალი	4139	165
237	კარდანი წინა	ცალი	2175	165
238	ჯვარა (კრესტავინა)	ცალი	390	97.5
239	კარდნის ბოლტები	ცალი	36	97.5
240	ნახევარღეძი (პოლუოსი) მჯ	ცალი	3265	165
241	ნახევარღეძი (პოლუოსი) მც	ცალი	3072	165
242	პოლუოსის ჩოხალი	ცალი	34	165
243	ელასტიური მუფტა	ცალი	755	97.5
244	ზეთის შემოწმება ხიდში	ცალი	-	25
245	საჭის დამცავი ბალიში	ცალი	5210	180
246	ტორპედოს დამცავი ბალიში	ცალი	3550	180
247	ტორპედო	ცალი	5210	275
248	მოხვევის მაჩვენებელი გვერდითი (ციმციმა)	ცალი	177	60
249	წინა ბამპერი	ცალი	1450	75
250	უკანა ბამპერი	ცალი	1550	75
251	ძრავის სახურავის (კაპოტის) გვარლი	ცალი	650	105
252	ძრავის სახურავის (კაპოტის) საკეტი	ცალი	820	105
253	სავარძლის ზურგის გასასწორებელი სახელური	ცალი	105	67.5
254	საბარგულის საკეტი	ცალი	450	75
255	ცხური (აბლიცოვკა)	ცალი	2230	45
256	ძრავის სახურავი (კაპოტი)	ცალი	2480	100
257	წინა ფრთა	ცალი	1580	100
258	ფრთისქვეშა საფარი	ცალი	650	45
259	წინა მაშუქი (ფარი)	ცალი	1450	100
260	უკანა მაშუქი (სტოპი)	ცალი	1770	100
261	გარე (გვერდითი) სარკე	ცალი	1640	45
262	კარები წინა	ცალი	3840	150
263	კარები უკანა	ცალი	3750	150
264	კარის საკეტი	ცალი	1450	112.5
265	კარის გამლები გვარლი	ცალი	140	82.5
266	გვერდითი კარის გამლები ელ. მექანიზმი	ცალი	950	100
267	კარის სახელური (გარეთა)	ცალი	552	15
268	კარის ფიქსატორი (აგრანიჩიტელი)	ცალი	450	45
269	უკანა კარის ჩამკეტი	ცალი	780	55
	ძარა			
270	საწვავის ავზის ხუფი	ცალი	97	7.5
271	წყლის ავზის ხუფი	ცალი	33	7.5
272	მინის მწმენდის ავზი	ცალი	468	30
273	ძრავის ზეთის ხუფი	ცალი	68	7.5
274	ძრავის ზეთის შუპი	ცალი	111	-

275	სიდენის მოხსნა/დაყენება	ცალი	-	75
	სხვადასხვა			
276	გამათბობლის ვენტლიატორი	ცალი	1178	187.5
277	გამათბობლის რადიატორი	ცალი	514	187.5
278	ჰაერშომის მილი	ცალი	292	22.5
279	კონდენციონერის რადიატორი	ცალი	1868	105
280	კონდენციონერის კომპრესორი	ცალი	3712	150
281	კონდენციონერის კომპრესორის შვივი	ცალი	2585	82.5
282	კონდენციონერის მილი	ცალი	698	187.5
283	კონდიციონერის მილის სალნიკი	ცალი	14	187.5
284	კონდიციონერის ელ სისტემის აღდგენა	ცალი	-	300
285	კონდიციონერის ჩამრთველი ელ. დაფა (პანელი)	ცალი	1722	85
286	კონდიციონერის ფრთოვანა (პროპელერი)	ცალი	2202	150
287	მინის ამწევი მექანიზმი	ცალი	2009	90
288	მინის ამწევის დილაკი	ცალი	758	15
289	თვლების განშლისა და შეყრის კუთხის გასწორება	წყვილი	-	25
290	დისკის გაიკა-ბოლტი	ცალი	9	7.5
291	საწვავის ავზის მოხსნა/დაყენება (გამორეცხვა)	ცალი	-	225
292	Co-ს შემოწმება		-	37.5
293	წინა მინის მწმენდის მექანიზმი	ცალი	548	52.5
294	საქარე მინის საწმენდის კ-ტი წინა	კომპლ	120	15
295	საბურავის მოხსნა/დაყენება	ცალი	-	7.5
296	საბურავის დაკერება	ცალი	-	31.25
297	საბურავის დაშლა/აწყობა	ცალი	-	15
298	საბურავის ბალანსირება	ცალი	-	15
299	საბურავის დისკის გასწორება	ცალი	-	37.5
300	სანომრე პლასტმასის	ცალი	20	15
301	ზეთის ფილტრის კორპუსის საფენი	ცალი	17	35
302	ყუმბარის მტვერდამცავის კ-ტი	ცალი	300	52.5
303	სავალი ნაწილის შეპოხვა	ცალი	-	37.5
304	ზეთის გაგრილების რადიატორის ჩობალი	ცალი	17	52.5
305	პარკირების სენსორი	ცალი	131	60
	საცხებ საპოხი			
306	დიფერენციალის ზეთი უკანა	ლიტრი	172	75
307	დიფერენციალის ზეთი წინა	ლიტრი	172	75
308	გამანწილებელი კოლოფის ზეთი	ლიტრი	159	75
309	საჭის გამამლიერებლის ზეთი	ლიტრი	202	75
310	მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	54	75
311	გამოხდილი წყალი	ლიტრი	3	7.5
312	მინის მწმენდის ყინვაგამმლე სითხე (კონცენტრატი)	ლიტრი	20	7.5
313	სამუხრუჭე სითხე DOT-4	ლიტრი	36	112.5
314	ანტიფრიზი	ლიტრი	25	7.5
315	თვლის ნახრის გასოწრება	ცალი	-	40
316	ტაოტი	ცალი	20	-
317	ძრავის გერმეტიკი	ცალი	98	-
318	კონდიციონერის კომპრესორის ზეთი 1გრ	1გრ	4	75
319	კონდიციონერის ფრეონით დატუმბვა 100გრ	100გრ	12	75
320	კანოპის მ/დ	1 საათი	-	75
321	შიდა ელ. სამუშაო	1 საათი	-	75